

1934

53
1934



ბოლოპევიური საქმისათვის

ფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 10-ე დღიური ოკრებანი
№ 17 (24) || 7 ნოემბერი 1934 || № 17 (24)

17 ნოემბერი 1934

ახალი ფურცელი გადაშალა ოქტომბრის რევოლუციამ კაცობრიობის განვითარების ისტორიაში. მან ბრწყინვალე საფუძველი ჩაუყარა ადამიანთა ახალი თაობის შექმნას და ძველ, მომაკვდავ კაპიტალისტურ სამყაროს სასიკვდილო ლანგარი ჩასცა.

მსოფლიო გაიყო ორ მოპირდაპირე სისტემადა.

გადახედეთ ორსავე სისტემას — კაპიტალისტურსა და სოციალისტურს.

რას დანახავთ?

კაპიტალისტურ სისტემაში — ნომიურ კრიზისს, კაპიტალიზმის სიღამულეს, უმუშევრობას, სიღატაკეს, სოფლის მეურნეობის დაქუცმაცებასა და მოსახლეობის მშრომელი მასების პაუპერიზაციას — ერთის მხრით, ხოლო მეორეთა რევოლუციონური მოძრაობის გაძლიერებას, კაპიტალიზმის შინაგან და გარეგან წინააღმდეგობათა ზრდას, კოლონიალური და ნახევრად-კოლონიალური ქვეყნების ნაციონალურ განმათავისუფლებელ მოძრაობას — მეორე მხრით.

სოციალისტურ სისტემაში — სადაც დღეს კიდევ გამარჯვებულთა ერთი მემჩვიდმეტე გმირული ფურცელი იშლება-გხედავთ საწარმოო ძალთა ყოველდღიურ გიგან-

ტურ ზრდას, ბრწყინვალე ცხოვრებას, სადაც ადგილი არა აქვს უმუშევრობასა და გაჭირვებას, სადაც საბოლოოდ ისპობა უკულტურობა და ჩამორჩენილობა, სადაც თითოეული მშრომელი ჯანსაღი სულით სუნთქავს.

მარქსიზმის რევოლუციური თეორიისა და პრაქტიკის ბასრი იარაღით გამარჯვებინეს ოქტომბერს აშშ. აშშ. ლენინმა და სტალინმა. მაშინ, ისე როგორც შემდეგ, ოქტომბრის ჩახრჩობას ლამობდნენ შინაგანი და გარეშე მტრები. თოთხმეტი იმპერიალისტური სახელმწიფო გვებრძოდა, მეფის ყოფ. გენერლები და კონტრევოლუცია ესხმოდა თავს ოქტომბერს. მაგრამ ოქტომბერმა მაინც გაიმარჯვა. ოქტომბრის აბოზოქრებულმა ზვირთებმა ბნელ უფსკრულში გადაუშვა ყველა ჯურის კონტრევოლუციონური მოიერიშეები, დაუმკვიდრა მათ „საუკუნო სასუფეველი“.

და ოქტომბერმა დაბადა ახალი ქვეყანა, ახალი ურთიერთობა, ახალი ყოფა-ცხოვრება. წინანდელი ბრმა და შეუცნობელი საზოგადოების კანონი შეცნობილმა და გეგმიანმა საწყისმა შეცვალა. დამკვიდრდა პროლეტარიატის დიქტატურა, როგორც მოძრაობის ახალი კანონი. ქვეყანა დაიძრა

ბაუზარჯოს მაცნიარების და ტანისის, ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაკებს, რომლებიც მუშათა კლასთან ხელისუფლებული მიღიან წინ სოციალიზმის მუშაბლოვის დიად გზაზე

3555. მრწველობამ სწრაფად იწყო განვითარება, ქალაქისა და სოფლის წინანდელი ანტაგონისტური დამოკიდებულება მათ შორის მტკიცე კავშირის გაძლიერებამ შეცვალა. ქალაქი გახდა სოფლის ნამდვილი ხელმძღვანელი. სოფელი გაჰყვა სოციალისტურ ქალაქს, და მთელი საბჭოთა კავშირის რუკა შეიცვალა. „როგორ აშენდა ჩვენი დიდი ქვეყანა! გაინედეთ აღმოსავლეთისაკენ, სამხრეთისაკენ, ჩრდილოეთისაკენ. ამოაქვთ ქვეანახშირი, აღნობენ სპილენძს, აშაადებენ მძლავრ მანქანებს. ელევატორები და ბელლები საბჭოთა მეურნეობისა და კოლმეურნეობების პურით ივსება. ჩვენს ქვეყანას თავს დასტრიალებენ წითელი საშაერო ფლოტის მრისხანე ესკადრილები, თვალუწვდენელი ქვეყნის საზღვრებს შემოვლბული აქვს თავდაცვის საუკეთესო ტექნიკისა და საუკეთესო ადამიანების, ჩვენი სამშობლოს გმირული შვილების, ბოლშევიკური ფოლადისებური რაკალი“ (პრავდა). მილიონობით მოდიან სოც. შეჯობებისა და დამკვრელობის არმიები; ახალი ენთუზიასტები, მუშები და კოლმეურნეები, ინჟინრები და ავრონომები, ეკონომისტები და საბჭოთა მეცნიერები ერთიან


დებიან ერთ მძლავრ დამკვრელ კოლექტივში.

საერთო ძალით იბრძვიან სოციალიზმის გამარჯვებისათვის საბჭოთა კავშირის მოძმე ერები: ქართველი და რუსი, სომეხი და თათარი, უკრაინელი და ბელორუსი, მოლდაველი და ჩუვაში, უზბეკი და ტაჯიკი. ფორმით ნაციონალური და შინაარსით ინტერნაციონალური კულტურის უძლეველ დროით მიღიან ისინი კომუნისმისაკენ.

საბჭოთა კავშირი გადაიქცა მოწინავე ქვეყნად მთელ მსოფლიოში. ჩვენ გეშმარიატად დავეუფლეთ მოწინავე კულტურას, მეცნიერებისა და ტექნიკის უკანასკნელ მიღწევებს, ჩვენი ქვეყანა საბოლოოდ განმტკიცდა სოციალიზმის გზაზე. ძირითადად მოგსპეთ კულაკობა როგორც კლასი მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე. ჩვენი ქვეყანა წარმატებით ასორციელებს უკლასო სოციალისტურ საზოგადოებას, იბრძვის ქალაქისა და სოფლის, ფიზიკური და გონებრივი შრომის წინააღმდეგობის საბოლოო აღმთვრისათვის და ყველა ამ საქმის ხელმძღვანელი არის მსოფლიო მუშათა კლასის გენიალური ბელადი აშშ. სტალინი.

ოქტომბრის რევოლუციის მე-17 წლის თავზე უდიდესი ციხე-სიმაგრედ დგას წითელი სოციალისტების დიდი სამშედელო ტფლისის სახელმწიფო უნივერსიტეტიც, ეს უზარმაზარი კომბინატი, რომელშიც თავს იყრის 5.000 სტუდენტი და 300-დე მეც. მუშაკი. ეს ის ადამიანებია, რომლებმაც საკუთარი ხელით უნდა უწელობდნენ სოციალიზმის მშენებლობას ყველა უბანზე. ჩვენი ქვეყანა ამ ადამიანებისაგან მოითხოვს ენერგიულ ბრძოლას სწავლის დაუფლებითვის, კულტურის და ტექნიკის ახალი მწვერვალების დაპყრობას, მარქსიზმ-ლენინის რევოლუციონური თეორიითა და პრაქტიკით შეიარაღებას, ოქტომბრის დიდი მონაპოვარის დაცვას და მსოფლიო კომუნისმის გამარჯვებისათვის თავდადებულად ბრძოლას.

ასეთია ოქტომბრის მეჩვიდმეტე წლის დავალება. გაუმარჯოს მსოფლიო ოქტომბერს. გაუმარჯოს ოქტომბრის ორგანიზატორს კომუნისტურ პარტიას. გაუმარჯოს მსოფლიო რევოლუციის ბელადს აშშ. სტალინს.



პირველი მოწინავეთა შორის

(ეკ. ფაკულტეტის თეორიული სექციის მე-4 კურსი)



გასულ წელს ეკონომიური ფაკულტეტის მეოთხე კურსის თეორიული პოლიტ-ეკონომიის ჯგუფი სასწავლო გეგმების გადაჭარბებით შესრულების, სოც. შეჯიბრება-დამკვერლობის ფართოდ გაშლისა და მაღალი აკადემიური მაჩვენებლისათვის დაჯილდოებულ იქნა ფაკულტეტის გარდასაჯალი დროშათა და წითელ დაფაზე შეტანილ. ეს გამარჯვება ჯგუფმა მოიპოვა იმით, რომ ჯგუფის სამკუთხედმა მტკიცედ დარაზმა ჯგუფის მთელი შემადგენლობა. შრომის დისციპლინის გამტკიცებისა და სასწავლო გეგმების შესრულებისათვის ბრძოლაში. მთავარი ყურადღება ექცეოდა ბრძოლას აკადემიური მომზადების მაღალი მაჩვენებლებისათვის.

სასწავლო გეგმის შესრულებისა და სწავლების მაღალი ხარისხისათვის დამკვერლობად მუშაობდნენ არა მარტო ჯგუფის სტუდენტები, არამედ მთელი რიგი ლექტორებიც. ზოგიერთ საგნებში სასწავლო გეგმები ვადაზე აღრე შესრულდა. ჯგუფში მთელი სემესტრის განმავლობაში დამკვერელი ტემპებით მუშაობდნენ შემდეგი ლექტორები: ეკონომიური აზროვნების ისტორიაში — დოც. ბ. რამიშვილი, სოფლის მეურნეობის ეკონომიკაში — პროფ. ვ. გოგეშვილი, ეკონომიური პოლიტიკაში ი. ბაჯაძე, შედაგოვკაში — შ. სიხარულიძე, რუსულ ენაში — აბ. სამსონია და სხვა.

აღსანიშნავია აგრეთვე ასიტენტ აბ. ნუცუბიძისა და მ. ჩიკვაძის ნაყოფიერი მუშაობა. ისინი საუკეთესოდ ატარებდნენ ჯგუფში სემინარსა და კონსულტაციებს.

რუსულ ენაში ფართოდ იყო გამოილი თვით სტუდენტობაში სოც.

შეჯიბრება მოხსენებების გაკეთებაზე, ლიტერატურის დაუფლებაზე და სხვა. ამის შედეგად თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჯგუფის თითოეულ წევრს ამჟამად შეუძლია დამოუკიდებლად ისარგებლოს რუსული ლიტერატურით. პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტების ასეთმა დამკვერლობამ მუშაობამ სასწავლო გეგმების შესრულებისათვის, აღრიცხვის და სესიების მომზადებულად ჩატარებამ მოგვცა ის, რომ ჯგუფის საშუალო ნიშანი წლის ბოლოს უდრიდა 4,76, %-გვირთებისა კი 5-ს. აკადემიური წარმატების მაღალი მაჩვენებლები მოგვცეს სტუდენტებმა: კ. ბაბილოძემ, ბ. პატარაიამ, მავზარაშვილმა, კახეთელიძემ, სიმონიამ და სხვ. რომლებმაც ყველა საგნები ფრიადზე ჩააბარეს. ჯგუფში მხოლოდ შვიდ სტუდენტს ჰქონდა თითო საგანში დამკვერული, დანარჩენების ნიშანი „კარგი“ და „ფრიადი“ იყო.

შრომის სოციალისტური ფორმებისა და მეთოდების ფართოდ გამოყენებით ჯგუფში განმტკიცდა შრომის დისციპლინა და საგრძობლად გაიზარდა ჯგუფის თითოეული წევრის აქტიურობა. ლექციების უმეზობოდ გაცდენა-დაგვიანების აღმოფხვრის მიზნით თვით ჯგუფის ინციპტივით მთელი უნივერსიტეტის მასშტაბით პირველად შემოღებულ იქნა ყოველდღიური მოძრავი წითელი და შავი დაფა, რომელსაც სისტემატურად ვიყენებდით არასაპატიო მიზეზით ლექციების გამცდენელთა და დამგვიანებელთა წინააღმდეგ. მოძრავი წითელი და შავი დაფის გამოყენებამ და სათანადო მასობრივი მუშაობის გაშლამ ჯგუფში სრულიად აღმო-

ფხვრა დაგვიანება და მინიმუმად დაიყვანა გაცდენა, რის დამამტკიცებელია ის, რომ II სემესტრის განმავლობაში სტუდენტთა მიერ უმეზობოდ ლექციების გაცდენა უდრიდა მხოლოდ 12 საათს.

ჯგუფის სამკუთხედი ყოველთვის ახდენდა სოც. შეჯიბრება-დამკვერლობის შემოწმებას და სათანადო მითითებებს აძლევდა თითოეულ სტუდენტს, რის შედეგად ჯგუფმა საშუალოდ სოც. შეჯიბრების მიხედვით შეასრულა 115 პროცენტით და დამკვერლობა კი 110 პროცენტით. ჯგუფში კომუნისტები და კომკავშირელები ავანგარდულ როლს ამართლებდნენ და მოწინავე ფრონტზე იდგნენ როგორც საზოგადოებრივ მუშაობაში, ისე სწავლაში.

ჯგუფში საზ. დატვირთვა განაწილებულია რაციონალურად, არც ერთი სტუდენტი არ არის რაიმე დავალების გარეშე და, რაც მთავარია, სისტემატურად ხდება დავალებების შემოწმება. ჯგუფის წევრები ამუშავებენ მთელ რიგ მეცნიერულ თემებს, სამეცნიერო წრეში წაითხულ იქნა ერთი მოხსენება, ერთიც დამზადებულია წასაკითხად.

ახალი სასწავლო წლის დაწყებისთანავე ჯგუფმა შეაჯამა და შეაფასა განვლილი მუშაობა და მომავალი მუშაობისათვის დასახა მთელი რიგი ღონისძიებები. ჯგუფის თითოეული წევრი პარტორგანიზაციის დახმარებით ცდილობს განამტკიცოს მოპოებული მიღწევები და მეტი ენთუზიაზმითა და დამკვერული მუშაობით იბრძოდოს გარდამავალი დროშის ბოლომდის შენარჩუნებისათვის.

ბ.რ. მამალაძე

ელენეს ასეული საუბრისკა

მუხიკის მგრძნობიარე ხმები ჰაერში იფანტებოდა და სადღაც შორს სივრცეში უფოთკვლად იკარგებოდა... თვალწინ უცქერი ზღვა ხალხს, რომელიც ამ ტკილ ხმებზე მწყობრად მიაბიჯებს გაწვრთნილ ფეხებს... უცქერი და მშვენიერი მარში თვითონვე გიწვევს სავარჯიშოდ...

აი მოდის ელენე განუზრახვას ასეული. ყველა იცნობს ელენეს ასეულს... რგი არ განლაგთ ტუჩებ შედებილი მანდილოსანი, მას არსად არ უსწავლია პლასტიკა და არც საბალეტო სკოლაში ყოფილა ოდესმე, მაგრამ... მაგრამ აბა დააკვირდით საკუთარი თვალით, თუ როგორ ვარჯიშობს და როგორ დადის; მედგარი ხმით უთავლის თავს ასეულს; „მარტი,



აბ. ე. განუზრახვას

IV კურსის საფინანსო-სოც. ჯგუფის კომ.ორგ.

უფრო მეტი მგრუნველობა

სატყეო ინსტიტუტის დირექციამ თავისივე ხარჯით ჩატარა სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის კაპიტალური შეკეთება მე-9 კორპუსში. ამასთან ერთად ინსტიტუტის დირექციამ გაათავისუფლა საერთო საცხოვრებელში ყოფი სტუდენტები საბინაო გადასახადისაგან, რისთვისაც 72.000 მანეთი გადაურიცხა სტუდ. ქალაქის დირექციას. ინსტიტუტის დირექტორის აბ. ორლოვის განკარგულებით სტუდენტებს ეძლევათ სდილი 35 პრ. შედაგათიან ფასებში. სტუდენტებს დაურიგდათ შეწრები, ბალიშის პირები, საბნები და სხვა თეთრეული. საერთო საცხოვრებელში მოწყობილია სამკითხველო, სასულე ორკესტრი, რადიო, პატეფონი და სხვ. ამავე კორპუსში მიმდინარე წელს მიიღო სტუდ. ბიუროსაგან ჯილდო, დროშა და 700 მანეთი. საერთო საცხოვრებელში ცხოვრობს მრავალი სხვადასხვა ეროვნების (22) სტუდენტი. მათ პირველად უზღებთ საერთო საცხოვრებელში ცხოვრება, ამიტომ საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს კულტურულ მუშაობას, მაგრამ ეს ვერ გაუვალ სტუდენტთა ბიუროს თავჯდომარეს. მან დაუშვა მთელი რიგი უხეში შეცდომები, რომლებიც გამოსწორებულ იქნა პარტკომის უშუალო ჩარევით. თავმჯდომარე ამონილ იქნა და მის ნაცვლად აირჩიეს აბ. ნ. კუონია, ბ. ნუშკიძე

პარკი დასაწყისი გამარჯვების საწინდარი

ჯარის გარეშე უმღლეს სამხედრო მზადებას, რომელმაც ორი წლის შემდეგ მუშურ-გლეხურ წითელ არმიას უნდა მიეცეს თადარიგის საშუალო მეთაურები, ფიზიკურ-მათემატიკური ფაკულტეტის სტუდენტობა ახალგაზრდული ენთუზიაზმით შეჭვდა. ორ დეკადაში ჩატარებულმა მეცადინეობამ გვიჩვენა, რომ დისციპლინა ყველა ჯგუფში სათანადოდ დონეზე დგას. კარგია სტუდენტების დანტერესება სამხედრო ტექნიკის დაუფლებით. ისინი ისევე გულმოდგინედ ეკიდებიან სამხედრო საგნების შესწავლას, როგორც სხვა მეცნიერულ დისციპლინებს. ფიზიკურ-მათემატიკური ფაკულტეტი იბრძვის პირველობისათვის. კიდევ უფრო მაღლა ავწევთ სამხედრო მომზადების დონეს, კიდევ უფრო ავამაღლებთ სამხედრო დისციპლინას. თითოეულ სტუდენტს უნდა ეტკობოდეს გასამხედროება. ამ მიზნით ფართოდ გაიშალა სოც-შეჯიბრება-დამკვერლობა. №-89 ჯგუფმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია №-87 და 88 ჯგუფები.

ბ.რ. მთიულიშვილი.

ბოლშევიკურად იბრკვიან.

საქ. კ. პ. (ბ) ეკეასა და უმაღლესი ფიზკულტურული საბჭოს დადგენილების საფუძველზე სახელმწიფო უნივერსიტეტის მუშაეკმა სამხედრო ფიზკულტურული მზადების საქმეში ძირითად გარდატეხას მიადწია. წელს ჩვენ — მუშაეკლებმა ბანაკად ყოფნისას პირველობა ავიღეთ სამხედრო მომზადებაში. ამჟამად განსაკუთრებული ენთუზიაზმით ვმზადდებით იმისათვის, რომ მ ნოემბერს გამართულ ალუმში მოწინავეთა ერთ-ერთ რიგში ჩავდეთ. უკვე მზად გვყავს სამი ასეული 298 კაცის რაოდენობით, სულ ჩატარებულია სამსწობრო მომზადება 12-ჯერ, კიდევ ჩატარდება რამდენიმე მეცადინეობა. აღსანიშნავია პარტორგანიზატორის აბ. ორდენიძის, მუშაეკის დირექტორის აბ. ჩოღრიშვილის და სამხედრო ხელმძღვანელის აბ. ანდრონიკაშვილის ენერგიული მუშაობა. მუშაეკის მთელი კოლექტივი პარტიული, კომკავშირული და პროფ. ორგანიზაციები იბრძვიან იმისათვის, რომ მოიპოვონ გამარჯვების დროშა სამხედრო ფიზკულტურულ ალუმზე.

ილ. ბოლქვაძე



რა გვიულის ხელს

(ეკ. ფაკულტეტის მეორე კურსის 75 ჯგუფი.)

ეკონომიური ფაკულტეტის სააღრიცხო სექციის მეორე კურსის 75 ჯგუფის სტუდენტთა შორის გაიშალა სოც.-შეჯიბრება და დამკვერლობა. სტუდენტები მთლიანად ჩაბმულია სოც. შეჯიბრებაში. იმ მიზნით, რომ აღმოფხვრიონ იქნეს უმეზობოდ გაცდენა-დაგვიანება, შემოღებულია წითელი და შავი დაფა, მაგრამ არ არის საკმარისი მარტო სოც.-შეჯიბრების და დამკვერლობის გაშლა, საჭიროა აღმოფხვრიონ იქნეს ყველა ის დეფექტი, რომელიც ხელს უშლის სწავლების მაღალხარისხიანობას პირველი — ადგილი აქვს ჯგუფში სტუდენტთა ცვალებადობას პროფილების გამოცვლის გამო. წესულ წელს ჯგუფში ირიცხებოდა სტუდენტი, წელს კი 27 სტუდენტია. პროფილის გამოცვლამ სტუდენტების მრავლად მიიღო მასიური ხასიათი.

მეორე, რაც ხელს უშლის მუშაობას და იწვევს ცალკე დისციპლინების ერთგვარ გაუპიროვნებას, ეს არის ლექტორების ხშირი ცვლა. წარსულ წელს, მაგალითად, ჯგუფმა გამოიცვალა სტატისტიკაში 3 ლექტორი. პირველად ამ საგანს კითხულობდა — დოც. გავუა, შემდეგ გ. გამყრელიძე და ბოლოს წ. ჩახვადე.

ანალოგიური მდგომარეობა განმეორდა წელს რუსულ ენაში. წარსულ წელს რუსულ ენას გვიკითხავდა ლექტორი დ. ქინქლაძე. მისი ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა სუსტი ამანაგების ცალკე ჯგუფი, რომელიც ლექტორმა აიყვანა ბუქსირზე და ამეცადინებდა დამატებით საათებში. წელს ჩვენ იმედი გვქონდა, რომ ლექტორი დ. ქინქლაძის ენერგიული დახმარებით სრულიად აღმოფხვრიდით ჩამორჩენას რუსულ ენაში, მაგრამ ლექტორი გამოიცვალა.

გეგმის შესრულებას აფერებს აგრეთვე ლექციების გაცდენა ხელმძღვანელების მიერ. წელს უნდა წაკითხულიყო ჩვენს ჯგუფში „ლიალექტიკური მატერიალიზმი“, მაგრამ დღემდის არც ერთი ლექცია არ ჩატარებულა. 24 ოქტომბრამდის გაცდენილია ამ საგანში 10 საათი, თუ ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა, ცხადია ჯგუფი სასწავლო ვერ შეასრულებს.

ჩვენ მოვითხოვთ: შეწყვიტოთ იქნეს სტუდენტთა მიერ ერთი სექციიდან მეორეზე გადაყვანა-გაღმოყვანა, აღმოფხვრიონ იქნეს ლექტორების ცვალებადობა საგნებში და ლექტორების მიერ საათების გაცდენა.

შ. გრიგოლაშვილი.

იდეურად და მხატვრულად სრულყოფილ ლიბერალურ პერიკლისათვის

მ. რაღინი

ოქტომბერი და ლიბერალურა

ოქტომბრის რევოლუციის ძლე-
ვამისილი ძალა შეეხა არა მარტო
პოლიტიკასა და ეკონომიკას, არა-
მედ კულტურის, ლიტერატურისა
და ხელოვნების სფეროსაც. რევო-
ლუციამ გარკვეული მიმართულება
მისცა იდეოლოგიური წყების მოვ-
ლანათა განვითარებას. ამ ხნის
ავლობაში მხატვრულ ლიტე-
რატურაში მოხდა ისეთი გარდა-
ტეხა, რომლის მსგავსიც იშვიათად
თუ შეიძლება ვნახოთ რომელსამე
სხვა ისტორიულ პერიოდში დროის
ასეთივე მანძილზე.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოე-
ბას, რომ პროლეტარული რევო-
ლუციის პერიოდში, მხატვრული
ლიტერატურის განვითარება არ მი-
დინარეობდა „მშვიდად“, „უმტვი-
ვნილოდ“. ჩვენს ქვეყანაში არსე-
ბული კლასობრივი ბრძოლა თავის
მძაფრ გამოხატულებას იდეოლო-
გიის ამ უმადლეს და ურთულეს
სფეროშიაც პოულობდა.

საბჭოთა და პროლეტარული
ლიტერატურის განვითარებაში გან-
საკუთრებული ეტაპი შექმნა საკ-
ბ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის
1932 წ. 23 აპრილის ისტორიულ-
მა დადგენილებამ. ამ დადგენილე-
ბამ საბჭოთა ლიტერატურის გან-
ვითარება აიყვანა ახალ და უფრო
მაღალ საფეხურზე. საბჭოთა ქვეყ-
ნის ლიტერატურის განვითარების
შემადგენელი მიზეზების (ჯგუ-
ფობრიობა, კარჩაკეტილობა, „მე-
მარცხენე“ ვულგარიზაცია, კლასი-
ციკლების უგულვებელყოფა და
სხვ. რასაც ადვილი ჰქონდა პრ.
მწ. ასოციაციის ხელმძღვანელებს
შორის) ლიკვიდაციით ჩვენმა ლი-
ტერატურამ გრანდიოზული ნაბი-
ჯები წადგა წინ. თამამად შეიძ-
ლება ითქვას, რომ დღეს საბჭოთა
ლიტერატურა ყველაზე უფრო
ცხოველყოფილი და იდეურად უძ-
ლიერესია მთელ მსოფლიოს ლი-
ტერატურაში.

ბურჟუაზიულ ქვეყნებში მხატვ-
რული ლიტერატურა გამოუვალა
კრიზისის ჩიხშია მოქცეული. ბუ-
რჟუაზიული ლიტერატურა მის-
ტიკის, ზოოლოგიური ნაციონა-
ლიზმისა და შოვინიზმის, პორნო-
გრაფიის და რელიგიურობის ჭაობ-
შია შეკურებული. ფაშიზმის „მეს-
ვეურები“ მხატვრულ ლიტერატუ-
რის მიმართ ახლებენ საშუალო
საუკუნეების ინკვიზიციის ბარბა-
როსულ პოლიტიკას. ისინი წვავენ
და ანადგურებენ კაცობრიობის
კულტურული მონაპოვარის თვალ-
საჩინო ნიმუშებს.

წინააღმდეგ ამისა ჩვენი პარტია
და ხელისუფლება საბჭოთა ქვეყ-
ანაში განსაკუთრებულ მზრუნველ-
ობას იჩენს ლიტერატურის და ხე-
ლოვნების ფრონტისადმი. ამ მდგო-
მარეობის თვალსაჩინო დემონს-
ტრაცია მოხდა ეხლახან დასრუ-
ლებულ მწერალთა პირველ საკავ-
შირო ყრილობაზე.

საბჭოთა ლიტერატურა არ წარ-
მოადგენს ვიწრო, კასტურ საქმეს.
იგი ფართო მასობრივი მოძრაო-
ბაა, რომლის განვითარებაში აქ-
ტიურ მონაწილეობას ეტეულობენ
მუშები კოლმეურნეები, წითელ-
არმიელები და სხვ.

საბჭოთა ლიტერატურა არ არის
მოწყვეტილი იმ უდიდეს მონაპო-
ვართაგან, რომლებიც შექმნა კა-
ციობრიობამ თავისი ისტორიის
მანძილზე. ჩვენ არ ვუარყოფთ
კულტურულ მემკვიდრეობას. **მარქ-
სმა, ენგელსმა, ლენინმა და სტა-
ლინმა** გვასწავლა, თუ როგორ
უნდა მივუდგეთ წარსული ეპოქე-
ბისა და კლასების მწერალთა შე-
მოქმედებისათვის. წარსულის
მემკვიდრეობას საბჭოთა ლიტერა-
ტურა კრიტიკულად გამოიყენებს
იმისათვის, რომ იგი ავიდეს გან-
ვითარების ისეთ საფეხურზე, რო-
მელზედაც ჯერ არ ასულა არც
ერთი დროისა და ქვეყნის ლიტე-
რატურა.

იანა ბურჟუაზია.

ახალგაზრდობას

თავისუფლების დიდ ნაამაგარს მტკიცედ ვგუშავებთ, ვეამბორებით,
თუმც არ გვიღვრია ბარიკადებზე თავგანწირულად სისხლის ტბორებით.

და არც გვინახავს
ციხე-ციმბირი, არც მათრახების მწვავე იარა,
აკვანს გვირწებდენ მაშინ დედები, როს ოქტომბერმა გადაიარა.
ჩვენ არ გვსძლია

შიში, ზმორება და არც უფერულ დღეთა ხინაზე,
და არც ჯალათებს ამბოხებულნი—აუყვანივართ გილოტინაზე.
ხელფეხ შებორკილს ფრთებს არ გვიკვეცდა სასპარეზოდ შავი კედლები,
„დღეს კი ურიცხვი განთიადები“ ვართ უკეთესი ხვალის მჭედლები.
როგორც წინაპრებს,

გვწაბს, რომ ჩვენც შეგვცვლის ჩვენზე სპეტაკი ნორჩი თაობა,
მათ საგანძურად დაწრჩებათ ჩვენგან ნაადრევე გამოხედაობა.
როცა ისინი ხელს შეახებენ ამ ისტორიის სისხლიან ფურცლებს,
ჩვენი ხმა მკვეთრი და გუშინდელი მძლავრ გრიგალივით მოხვდება გულზე.
ახალძალბებო!

ამ ფუცლებიდან თქვენ წინაპართა მკვეთრი ხმა ისმის,
—გვიშენებია საკუთარ მკერდით დღეები ჭაბუკ სიცოცხლის.

მეტი მზრუნველობა ახალგაზრდა მწერლებს

მწერალთა საკავშირო ყრილობამ
თავის მუშაობის დიდი ნაწილი
ახალგაზრდა სალიტერატურო ძა-
ლების აღზრდის საკითხს დაუთმო.
ყრილობამ აღნიშნა რა ახალგაზრდა
ავტორებთან მუშაობის არაღამა-
კმაყოფილებელი მდგომარეობა,
ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ
ჯერ კიდევ სუსტია მწერალთა კავ-
შირისა და ცალკე რედაქციების
მიერ ხელმძღვანელობის გაწევა
ახალგაზრდა ძალებისათვის. ამავე
დროს ყრილობამ აღიარა, რომ
თვითონ დამწყები მწერლები ნაკ-
ლებად მუშაობენ თავიანთ თავ-
ზე და ეს სრული სამართლიანი
შენიშვნა იყო. მართლაც და ჩვე-
ნი ახალგაზრდა მწერლები, ნაკ-
ლებად მუშაობენ თავიანთ თავ-
ზე, ჩამორჩენილი არიან კულტუ-
რულად, ამიტომ სრულიად ბუნე-
ბრივია, რომ მათი პროდუქცია და-
რიბია, ხოლო პრენტეზები კი დი-
დია. მწერალი, რომელიც სინტაქ-
სის უბრალო საიდუმლოებას არ
მორგევა, რომელიც მხოლოდ იწ-
ყებს წერას, რომელსაც მხოლოდ
წერის ელემენტარული ტექნიკა გა-
აჩნია, მეტს ხედავს თავის ნაწარ-
მოებში ვიდრე ფაქტიურად თვით
ის მასალა არის და მოითხოვს მის
აუცილებლად დაბეჭდვას. ეს გარე-
მოება ნათლად ამტკიცებს, რომ ის
ნაკლებ კრიტიკულად ეკიდება საკუ-
თარ ნაწერებს, არ შესწევს ძალა
შეაფასოს თავისი ნაწერები და,
მოთხრობა იქნება ეს თუ ლექსი,
შედევრად მიაჩნია.

ახალგაზრდებთან მუშაობის დღე-
მდის არსებული პრაქტიკა—ერთი
საკონსულტაციო კაბინეტის შექმნა
მწერალთა კავშირთან—სრულებით
ვერა დამაკმაყოფილებელი. დახ-
მაობა უმეტეს შემთხვევაში ფორ-
მალურ ხასიათს ატარებდა. ზოგნი
კი სრულებით უგულვებელყოფენ
ახალგაზრდა ავტორების დახმარე-
ბის მნიშვნელობას და ხმამაღლა
აცხადებდნენ, რომ არც ერთი დი-
დი მწერალი საკონსულტაციო კა-
ბინეტს არ შეუქმნია! ეს შეხედუ-
ლება ძირშივე მკდარია. მართა-

ლია საკონსულტაციო კაბინეტები
ვერ შექმნის მწერლებს, მაგრამ
აუცილებლად ხელს შეუწყობს მათ
შექმნას, დაეხმარება მათ და მის-
ცემს მუშაობის გზას.
საქართველოს მწერალთა სამდი-
ნოს დადგენილება არსებული ერთი
საკონსულტაციო კაბინეტის ნაც-
ვლად, რედაქციებთან საკონსულ-
ტაციო კაბინეტების შექმნის შე-
სახებ სრულიად მართებულია.
თვით რედაქცია აუცილებლად მეტს
იზრუნებს იმაზე, რომ სათანადოდ
შეაჩიოს და გამოამყვანოს ახალ-
გაზრდა ავტორები.

ჩვენი რედაქცია დღეს აქვეყნებს
ჩვენი ლიტერატურულ გვერდში
საკუთარი ძალებისაგან შემდგარ
ახალგაზრდა ავტორების მასალას.
ეს ავტორები საკმაო ხანია მუშა-
ობენ ლიტერატურის ფრონტზე.
ჩვენი რედაქცია ყოველთვის დაუ-
თმობს ახალგაზრდა ძალებს ად-
გილს და ყოველმხრივ დაეხმარება
მათ მუშაობაში. ჩვენ შევქმნით ყო-
ველგვარ პირობებს იმისათვის, რომ
მათ გამოამყვანონ თავიანთი მხატ-
ვრული შესაძლებლობანი და ამავე
მაღალი ხარისხის მწერალი, იყო
„ადამიანის სულის მშენებელი ინ-
ჟინერი“, საჭიროა ზუსტად იცნო-
ბდე საშენ მასალას, დაწვრილებით
გაეცნო ობიექტს, რომლითაც უნ-
და ააგო შენობა მხატვრული შემო-
ქმედების.

სამგომ ზილია



ხელი მიშვით, დამიმძიმდა თქვენი თრევით ფეხი ძლიერ.

მოიცადე, ჩვენც გვააყავლე ოსტატობა კარგა ძია.

ოქტომბრის დღეების ჩატარების გეგმა სახ. უნივერსიტეტში

თანხმად ოქტომბრის დღესასწ. ჩამტარებელ კომისიის გეგმისა:
ა) 6 XI საღამოს სრულ 8 საათზე სახუნტის კლუბში შესდგება მეცმუშაების, ად-
მინტესპერსონალის და სტუდენტთა აქტივის საზეიმო სხდომა. მოხსენებას ოქტომბრის რევ.
17 წლ. თავის აღსანიშნავათ გააკეთებს ამხ. ზ. ჩხვჭხეძე. სხოომის შემდეგ საკონცერტო
განყოფილება.
ბ) 7 XI ა.კ. ფედერაციის ახალ მოედანზე დანიშნულია კ. წ. ა. ჯარების აღლუმი,
ტფილისის მშრომელთა დემონსტრაცია და ფიზკულტურელთა აღლუმი.
ამ დღეს, დილის სრულ 7 საათზე სავალდებულოა გამოცხადება სახუნტის ეზოში
პროფ. პედაგ. და ადმ.—ტენიკურ პერსონალი და სტუდენტობის სრულ შემადგენლობისა.
ფიზკულტურელთა ნაწილები მოეწყობიან ცალკე.
გ) 8 XI სახუნტის ფიზკულტურის ბიურო აწყობს, ფიზკულტურის საზამთრო სეზონის
საზეიმო გახსნას. პროგრამაში: დღის 12 საათზე სახუნტის ფეხბურთელთა მოედანზე (სტუ-
დენტთა ქალაქში, კორპუსების უკან) ფეხბურთულთა გუნდების ამხანაგური შეხვედრა; სა-
ღამოს 7 საათიდან სახუნტის სასპორტო დარბაზში ფიზკულტურულ აქტივის აღლუმი ვარ-
ჯიშობანი და გუნდების შეხვედრა.

კომისია

პირლია ბისარიონი

ამას წინათ პროფ. უბლაძე ნუ-
სტუბიძის სიტყვამ ფირდოუსის
გარდაცვალებიდან 1.000 წლის
აღსანიშნავ საღამოზე ყველა გან-
ცვიფრებაში მოიყვანა. სულგა-
ნაბული უსმენდნენ მას სცენიდან
მწერლები. ერთი მათგანი მოხსე-
ნებას ისე გაეცა, რომ პირი
ღია დარჩენიდა. გამოირკვა, რომ
ის ყოფილა ვინმე ბისონი.

ს. ნაბიარიაძე.

სულ მისი

სიხვედრი გამონღება

საკვირველი კაცია მანუილ
აუხანიძე. ამას წინათ ჩვენს კლუ-
ბში ერთი იუმორისტული ლექსი
წარმოთქვა, რომელიც ტრამვაიაში
შესვლის სიძნელეს ეხებოდა და
მას შემდეგ რამდენი ვინმე მო-
მენტლახუნება ტრამვაიაში, სულ
მისი სიტყვები მაგონდება.

ბ. რაქაძე.

„საინტერესო“ მისტიკული

უნივერსიტეტში ერთი ქუთაი-
სელი ჩიქობავას ძალი სწავ-
ლობს, ყველგან და ყოველთვის
მე მას ვნახულობ ვაუებთან. საი-
ნტერესოა, როგორ აქვს მას მა-
ტრიკულში საქმე?

ბ. სულაბერიძე.

რედაქციის შენიშვნა

ამს. სულაბერიძე! თქვენ სურ-
ვილს მთლიანად დავაკმაყოფი-
ლებთ, ჩვენ გაგაცნობთ არა მარ-
ტო ჩიქობავას მატრიკულის ში-
ნაარსს, არამედ იმ ვაუებზეც ვაუ-
შინჯავთ კბილებს, რომელნიც
ჩიქობავასთან ფუსფუსებენ ყოველ
დღე. გავგიგე მხოლოდ იმ ვაუე-
ბის გვარი და სახელი.

საუბრი მოგუსტული

საინტერესოდ თამაშობენ ჩვენი
მეცნიერული მუშაკები ვადეი
ბოლს. ბურთს ბევრი მათგანი მოკ-
რძალებით ეკიდება. ყველას ეშინია
დოც. ი. ბაჟაძის დარტყმისა,
რადგან მის მიერ გასროლილი
ბურთი სახისა და კერძოდ სათ-
ვალეების მტერია. ბ. ბუბუშვილს
უქებენ ბურთის მიწოდებას, ამ-
ბობენ, რომ აუტოში ეხერხება
მას ბურთის გადასროლა, ვიდრე
წრის შიგნით.

ფიჭაშელაშვილი.

კედელი საწიმი

მალაღობი არაბი

ზოგიერთ ჩვენს სტუდენტს უნი-
ვერსიტეტის შენობის კედლები
საწერი ქალაღობი ჭგონია და სი-
ყვარულის ისტორიას და ზოგიე-
რთი ლექციების კონსპექტსაც აქ
წერს.

ნეტავი დიდხანს გასტანს ეს
მდგომარეობა?

მ. სურმაძე.

„საიდუმლო“ შემთხვევა

ხმება გაგრცვლებული, რომ
წელს დოც. არჩილ გოკიძელს
მოსკოვში ყოფნის დროს ტრამ-
ვაიაში რაღაცა შეემთხვა, მაგრამ
დაწვრილებით არავინ არაფერი
იცის ამის შესახებ

მ. შურდიაძე

გაგვიმ აწყინენ

გაზ. „ბოლშევიკური კადრე-
ბის“ №15-ში მოთავსებული იყო
წერილი მეცნიერ მუშაკთა სასა-
დილოში შექმნილი არანორმა-
ლური მდგომარეობის შესახებ.
ამ ამბავმა ძალზე აწყენინა სასა-
დილოს გამგეს ჯოხაძეს ვაი!
ერთი ვიცოდე ვინ არის წერილის
დამწერი იმს ვუტყობ დედასო“
გაიძახოდა ის და მარჯვენა ხელს
უმოწყალოდ იცემდა გულში.

ა. სამსონიძე.

ასოთ-აწყობის შენიშვნა

საინტერესოა ჯოხაძის აზრით
ვინ მეტი დამნაშავეა: კორესპონ-
დენტი, გული თუ მისი თავი.
ჩვენ ვფიქრობთ, რომ უსათუოდ
თავია დამნაშავე, თუმცა ზო-
გიერთ უყარათო მუშაკებს ეს
უკანასკნელი სავსებით არ აბიათ.
ასოთამწყობი.

მ. თევდორაშვილი.

ისინი მილიონაზი

წამარკანები

ამას წინათ ხუთმა ამხანაგმა
სტიპენდია ავიღეთ. ერთი ნაბი-
ჯი გადავდგი სახლში წასახვლე-
ლად და ამხანაგები მწვდენ კი-
სერში, გინდა თუ არა წამოდი და
ვიქვიფოთო. იმდენი ღონე ვიხ-
მარე, რომ მათ თავი დავად-
წიე. „დაიქცა შენი ოჯახიო“,
ერთი შემომიკურთხეს და წავი-
დენ. მე შინ წავედი. რო-
გორც შემდეგში გავიგე, იმათ
კიდევ ექვიფათ, დეზოშიც მოე-
ხდინათ და მილიციაშიც წაე-
რძანებიათ. ერთი მათგანი დღე-
საც შემხვდა უნივერსიტეტში და
ფული მთხოვა სადილისათვის.
მართალი გითხრათ არ მიმიცია
კალმოსანი.

მ ი ვ ე რ - მ ო ვ ე რ ა



წერილი დედას

დედას კირიმე, სკაჟი მნე,
რათა ხარ მოწყენილიო?
ტო ესტ, არ მესმის მე შენგან
რალაცა ლასკი ტკბილიო.

უსწავლელობა დღია მნე
გეჯავრებოდა კირივით;
დღეს შვილი გყვარ უჩონი,
ზნაიუ პო რუსკი ბეირივით.

დიბლომი კარგი პოლუჩილო...
კურსი ესტ დამთავრებული;
შენკი სკუნაობ... არ მესმის
რათ არ ხარ გახარებული.

დედავ, ნუ ტირი... ნაილუ
სადმე მე სლუჟბას კარგსაო...
ქალოვან ბუღუ პოლუჩატ,
მით გავიქარვებ დარდსაო.

დედის წერილი

ნეტავი შვილო დედაშენს
არ მედგას პირში სულიო,
არა გხედავდე თვალთა
ტანჯვაში გამოსულიო.

რალაცებს ურევ ქართულში
აი, ამასა ვჩივიო
ქვეს „შერყევას“ ვლამობენ
და ამიტომაც ვტირიო.

ნიკოლოზ კვავლიაშვილი

„მოქრავი“ ლექსია

სამართლის ფაკულტეტის 1-ლი
კურსის 105—106 ჯგუფებში სის-
ტემატურად ფერხდება მეცადინე-
ობა აუდიტორიების უქონლობის
გამო.

შემოაღნიშნულ ჯგუფებს დათ-
მობილი აქვს ლექციებისათვის
№ 109—110 აუდიტორია, მაგრამ
აღნიშნული აუდიტორიები ყოველ-
თვის დაკავებული აქვს სამხედრო
სასწავლო ნაწილს: ამის გამო სტუ-
დენტებს ლექციების მოსმენა უხ-
დებათ ხან კლუბში, ხან საპრო-
ფესოროში და ხან კიდევ შემ-
თხვევით განთავსებულ აუ-
დიტორიებში. სტუდენტებმა წინას-
წარ არ იციან სად ჩატარდება ლექ-

ცია. რის გამო ლექციას 50%
სტუდენტობისა ვერ ესწრება. და
ხშირია შემთხვევები, როცა სტუ-
დენტები შუა ლექციის დროს მო-
დიან.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე ის
გარემოება, რომ სასწავლო პროგ-
რამები ყველა დისციპლინაში არ
არის დაყვანილი თითოეულ სტუ-
დენტამდის. სტუდენტები არ იც-
ნობენ სასწავლო გეგმებს და პრო-
გრამებს, რაც დიდ ნაკლად უნდა
ჩაითვალოს ჩვენს მუშაობაში.

საჭიროა სასწავლო ნაწილმა
დროულად მიაქციოს ყურადღება
ამ დეფექტების აღმოფხვრას.
თ. მებრძოლიაშვილი

ნ. აბაშიძე, ი. გვარჯალაძე

ENGLISH

ინგლისური ენის სახელმძღვანელო გამოცემა — სახელმძღვანელო

პირველად ყოვლისა უნდა აღვნი-
შნო, რომ ინგლისური ენის სახელ-
მძღვანელოს გამოცემა ქართულ
ენაზე თავისთავად წარმოადგენს
მნიშვნელოვან ფაქტს. ავტორებმა
უსათუოდ დიდი საქმე გააკეთეს
ჩვენი ახალგაზრდობის მიერ ინგლი-
სური ენის შესწავლის საქმისათვის.
წიგნი შედგენილია უახლესი საბჭო-
თა ეკონომიური და პოლიტიკური
მასალების მიხედვით და შეიცავს
3.500-ზე მეტ ახალ სიტყვას, რაც
ენის შესწავლელს საშუალებას აძ-
ლევს სალაპარაკოდ იქონიოს უკვე
საკმაო მარაგი. სიტყვების ამ მარა-
გით უკვე შეიძლება ინგლისურად
ლაპარაკი. წიგნში დაცულია მხა-
რეთ-მცოდნეობის პრინციპი. გარდა
ამისა წიგნი ავებულია უცხო ენის
პროგრამის მიხედვით. ასევე დად-
ებითად უნდა ჩაითვალოს ის, რომ
წიგნს დართული აქვს ალფაბეტუ-
რი სიტყვარი, რაც უსათუოდ შეუ-
წყობს ხელს ენის შესწავლელს
წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობა-
ში. წიგნში მთელი რიგი გრამატი-
კული წესები საკმაოდაა ახსნილი
და სხვ.

მაგრამ წიგნს გააჩნია სუსტი მხა-
რებიც. პირველად ყოვლისა საჭი-
რო იყო წიგნის მასალა, გაკვეთი-
ლების გარდა, დანაწილებული ყო-
ფილიყო თავებდა იმის მიხედვით,
თუ რა ახალ საკითხთან გვექნებოდა
საქმე. ეს მეთოდურად უფრო სწო-
რი იქნებოდა. გარდა ამისა წიგნში
მასალა ყველგან არ არის თანამიმ-
დევრობით დალაგებული. ძლიერ
სუსტადაა მასში დაცული ტექნი-
კური მხარეები; სასვენი ნიშნები,
დიფიზი, გადატანა და სხ..

წიგნში ადვილი აქვს უამრავ კო-
რექტურულ შეცდომებს, რაც ბევრ-
გან აზრსაც ამახინჯებს და სიტ-
ყვის სისწორესაც. სახელმძღვანე-
ლოსათვის ეს ყოველად დაუშვებე-
ლია.

ახლა პრინციპიალური ხასიათის
შენიშვნებზე:

ცნობილია, რომ ინგლისურ ენა-
ში დიდ სიძნელეს სიტყვების სის-
წორით გამოთქმა წარმოადგენს. ავ-
ტორები „სამართლიანად“ მოიქცენ,
რომ ამ სიძნელის დასაძლევად სავ-
სებით აუარეს გვერდი დართულ სი-
ტყვარში შესაფერ გამოთქმებს. თუ
რამდენად სწორია ეს ენის დამ-
წყებისათვის, ამაზე არაფერს ვამ-
ბობ. მაგრამ ზოგიერთი კომბინირე
ბული ასოების გამოთქმა ქართული
ფონეტიკური ნიშნების მიხედვით
წიგნის შესავალში გვაძლევს საშუა-
ლებას ვთქვათ, რომ აქ ყველაფერი
რაგზე არ არის. ავიღოთ მაგალი-
თად-tion; ამის გამოთქმა ავტო-
რებს ხმარებული აქვთ როგორც
ქართული შენ; tion-ის დადგენა
ხელაღებით შენ-ად არ არის სწო-
რი. ნამდვილ ინგლისურ გამოთქმა-
ში შ-სა და ნ-ს შორის ე ან ნახე-
ვრად გამოითქმება, ან ზოგჯერ
თითქმის სულ იკარგება. მაგალი-
თად შენ,*) ან შენ; ასევე შეიძლება
ითქვას cial-ის შესახებაც. ავტო-
რებს ეს გამოთქმული აქვთ როგორც

შიალ. ამის მიხედვით socialism-ის
გამოთქმას ვლენსულობით, როგორც
სო შ ო ტ ლ ი ჯ მ ნ ა მ დ ე ი თ ა დ კ ე ე ნ -
გლისელები ამბობენ არა სო შ ი ა -
ლი ჯ მ ს, არამედ სო შ უ ე ლ ი ჯ მ . tu-
re-ს გამოთქმას ავტორები იძლე-
ვიან როგორც ჩერ; ე ჩ-სა და
რ-ს შორის აქაც თავისებურად გა-
მოითქმის. ნამდვილ გამოთქმაში ის
ღებულობს ნახევრად ე-ს და ნახე-
ვრად ო-ს მნიშვნელობას. ამავე
დროს რ თითქმის სავსებით არ ის-
მის.* აბა სად ნახეთ თქვენ ისეთი
ინგლისელი, რომელიც lecture-ს
ლექჩერ-ად გამოთქვამს. ინგლისე-
ლი მას იტყვის როგორც ლექჩერ.
წიგნის დიდ ნაკლად უნდა ჩი-
თვალოს აგრეთვე ის, რომ მა. ლე
ინგლისური ხმის ინტონიტივი კ ს-
თულად ნათარგმნია ხმის პირვე-
ლი პირით აწყობა დროში. რატომ
მოხდა ეს? თურმე იმიტომ, რომ
აუცილებელი ყოფილიყო თავიდან
მისი არსებით სახელთან არევა-
ჩვენის აზრით ეს არგუმენტი არ
არის სწორი, მას შეუძლია ბუნდო-
ვანებაში ჩააგდოს ენის ახლად და-
მწყები. გრძობენ რა ამ უხერხულე-
ბას, ავტორები თითონვე ამბობენ
„რომ ეს ხერხი ნაწილობრივ არ
მიგვაჩნია მიზანშეწონილად პედა-
გოგიური მეთოდური თვალსაზრი-
სითო.“

წიგნს ახასიათებს სხვა ნაკლიც.
მიუხედავად იმისა, რომ თითქმე
ყველა მასალა სხვადასხვა წყარო-
ებიდან არის გამოღებული, საჭირო
იყო მაინც მისი შემოწმება ნამდვი-
ლი ინგლისური აზრის კონსტრუქ-
ციისა და სტილის დასაცავად. ჩვე-
ნის აზრით კი ეს წიგნს ბევრგან
უსათუოდ აკლია.

შეიძლება აგრეთვე ითქვას, რომ
წიგნში ზოგიერთი მასალა შედმე-
ტია. ასე, მაგალითად, არავითარ
საჭიროებას არ მოითხოვს მასში
უკრიტიკოდ ყოფილიყო შეტანილი
ამს. ბუხარინის „ისტორიული მა-
ტერიალიზმიდან“ ათასჯერ გაკრი-
ტიკებული და დაწუნებული ადგი-
ლი, ისიც ცალკე თავად. ამას არ
აჯობებდა წიგნში შეგვეტანა ამს.
სტალინის ან ლენინის შრომები-
დან შესაფერი ადგილები? მაგრამ
რა გაეწყობა—ავტორებმა რა მასა-
ლაც ნახეს—ის გამოიყენეს.

ზოგიერთი სიტყვები წიგნში
არაა სისწორით თარგმნილი ქარ-
თულად, მაგალითად-city, ხან თარ-
გმნილია, როგორც სატახტო ქალა-
ქი ხან როგორც სავაჭრო—სამრე-
წველო ქალაქები და სხვ.

საერთოდ წიგნის გამოცემა უსა-
თუოდ გამართლებულად უნდა ჩი-
თვალოს. შემდგომ გამოცემებში
ავტორებმა უნდა გამოასწორონ
აღნიშნული ნაკლოვანებები და წიგ-
ნი ამ სახით უქველად დიდ სამ-
სახურს გაუწევს ჩვენს მოსწავლე
ახალგაზრდობას ინგლისური ენის
შესწავლის საქმეში.

ა. ა. ნუცუბიძე

*) ყოველი ასოს ქვევით გასმული ხაზს
გვულისხმობთ ასოს მნიშვნელობის შუაზე
გასაყოფად.

რედაქტორი

საჩქარაქმით კოლონია